

ჩვენ დაუახლოვდით ერთმანეთს. თქვენი გრძობა გამიზიარეთ, მე... ერთი სიტყვით იმ ხანაში ჩემზე უბედნიერესი არვინ მიმაჩნდა ქვეყანაზე. მე როგორც ქალი მთლად კმაყოფილი ვიყავი. ის წუთები, ის ნეტარება მთელს ჩემს სიცოცხლეში ამოუშლელი დარჩება. მაგრამ იცით, პირველ კოცნისათანავე პირველ შეხებისთანავე, თითქოს გულში რაღაც ნეტარება დამკრა, რაღაც უხამი ვიგრძენ, ის კი არ გეგონოთ რომ იმედი გამიცრუვდა, რომ მე თქვენში მოგტყუვდი, არა, თქვენ იგივე ღმერთი იყავით ჩემთვის. სამართლიანობა მოითხოვს აღვიარო ის, რომ აქაც კი, როდესაც აგრე აღვილია, შეუგნებლადაც ქალის ღირსების შელახვა, რაღაც გამათახსილებელ ელოფერის მიცემა, თქვენ იგივე ფაქიზი, წმინდა ჯენტლემანი და შოთ, ნაზი, ზრდილობიანი მოტრფიალე, პატივისმცემელი და დამცველი სატრფოს ღირსებისა. მაგრამ ვიმეორებ პირველ შეხებისთანავე რაღაც ტკივილი ვიგრძენ გულის სიღრმეში.

რა იყო ეს?..

პირველში აგრე რიგად ყურადღება არ მივაქციე, ვიგრძენ, მაგრამ არარად მივიჩინე... თან და თან უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დავეკრწილდით, დაუახლოვდით ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც კი შეიძლება ქალის და კაცის დაახლოვება და აი აქ უარეს ნეტარებასთან ერთად უფრო გამწვავდა ის გულის ტკივილი, რომელიც პირველ კოცნაში ვიგრძენ. გამწვავდა და ძალა უნებლიედ ჩემი ყურადღებას მიიქცია. შემავიქრა. შევკრთი... ვეკითხებოდი ჩემს თავს. ჯერჯერობით პასუხს ვერ ვპოვებდი. იმას კი მთელის ჩემის სხეულით ვგრძობდი, რომ მე როგორც დედაკაცი მთლად დამაკმაყოფილებელი ვიყავი, როგორც ცოლი და სატრფო რაღა თქმა უნდა...

რაც დრო ვადიოდა მე უფრო გეჩვეოდით თქვენ, უფრო ვიახლოვდებოდით, სიყვარული ჩემი უფრო ღრმავდებოდა, და რაც შემეხება მე, მართლაც რომ თქვენი არსების ნაწილად გარდავიქენი. თქვენი შეხედულობანი, თქვენი აზრები, თქვენი მისწრაფებანი ჩემად გახდნენ, თქვენის თვალთ ვეკრეტდი, თქვენის საზომით ვზომავდი და ამასთანავე იზრდებოდა გულისტკივილი, გულში უხამი თან და თან უფრო ძლიერად მოქმედებდა.

მახსოვს ერთი საღამო, თქვენს სამუშაო მაგიდასთან ვისხედით. მეტად საჭირო წერილს სწერდით, ჩამოფარებული ლამფა ბუნდოვანად ანათებდა თქვენს სახეზე, მაგრამ ეს სახე ჩემთვის მაინც ბრჭყვინავდა. ვიცნობდი, მომწონდა და მიყვარდა ყოველი ნაწილი ამ სახისა... დაგაცქერდით, გშინჯავდით... უცხად სურვილმა ამიტაცა: მინდოდა წამოვხტარიყავ, გადმოგხვეოდით და ჩამეკოცნეთ, მაგრამ... რაღაც იდუმალმა ძალამ შემბოჭა, სავარძელს მაგრა მიმაჯაჭვა... ვერ გავინძერი და აი სწორედ აქ გამიბრინა აზრმა:

„რითი დამამონავა ამ ადამიანმა?“

„დამამონავა?!...“ თითქოს ვიღამაც საზარლად ჩაიხარხარა... პირბადე მომგლიჯა... შავი ფარდა გახია და საშინელ უფსკრულში ჩამახედა...

„დამამონავა?“ — თითქოს წყვილი ელოვამ გააპო. უფრო გაფაციცებით დაგიწყეთ შინჯვა, როგორც კარგი და დახელოვნებული მეძებარი ვეძებდი თქვენში პასუხს:

რითი?... რითი? — ერთხელ — ორჯელ გადმოხედე, სიყვარულით გამიღიმეთ... მეც... ღიმილითვე შემოგხედეთ...

რა იყო ეს, ჩემის მხრივ? პირმოთნეობა?... არა, გეფიცებით მიყვარდით, მიყვარდით მთელის ჩემის. არსით და არა მარტო ხორციელად. მიყვარდით და ამასთანავე, არ ვიცი რა მემართებოდა იმ წუთს... მიყვარდით მაგრამ... ამასთანავე მძულდით და ვგრძობდი, რომ ეს სიძულვილი არა იმ წუთს შემოეპარა ჩემს გულს, არამედ იგი უკვე მჭიდროდ მოკიდებული მქონდა იმ დროიდან, როდესაც თქვენ პირველად მაკოცეთ...

რა იყო მიზეზი ამ სიძულვილისა?... უბედურობაც ჩემი იმაში იყო, რომ საბუთს ვერა ვპოვებდი... გაშტერდებოდით, გჩხრეკავდით, ეჭვით ვიჭურვებოდი, მინდოდა რაიმე ნაკლი თქვენში მეპოვა და ვერას ვპოვებდი და ეს უფრო აორკეცებდა ჩემს ტანჯვას.

ჩავიხედე ახლა ჩემს გულში, ახლა იმას დაუწყე ჩხრეკა, ქექვა... ვეძებდი ჩემს „მე“-ს და წარმოიდგინეთ ჩემი გაცოცება, როდესაც მე, ჩემი „მე“ ველარ ვპოვე... მთელი ჩემი სხეული, სული და გული მარტო თქვენით იყო სავსე, იქ ჩემი აღარა იყო...



სარდალი ეფრემ-ხანი, (მარჯვნივ), კავკასიელი სომეხი, რომელიც თვალსაჩინოდ მოღვაწე იყო სპარსეთის რევოლუციაში. 5 მაისს მოჰკლეს სოფ. სურუზას, ქამადანის მახლობლად, სალარ-დოულეს ჯართან ბრძოლაში.

შემეშინდა!..

ვიგრძენ რომ რაღაც უშველებელ და განუვლელ კლდეს მივაწყდი. მივხვდა რომ ეს საღამო მთელი ჩემი სიცოცხლის კრიზისი იყო, თანაც ვამჩნევდი, რომ მართალია ჯერედ ბუნდოვანად, მიზეზი თითქოს შორს, შორს უკვე გამოჩნდა.

ამ დღიდან დაიწყო ჩემი სულის ტრაგედია. დავრწმუნდი, რომ დიაგნოზი უტყუარი იყო, მაგრამ წაპალა, შევლა, განკურნება არსაი არ სჩანდა. პირველში ჩემს თავს ვამტყუნებდი, ვფიქრობდი:

„ადამიანო! რა გინდა? რას ეძებ?... თუ კი ცოლქმრობის იდეალი ორ არსიდან ერთი არსის შექმნაა, თუ კი ნამდვილი მიზანი შეერთება შეგუებაა... მაშ, რაღა გინდა? რას დაეძებ შენს „მე“-ს?... შენი „მე“ უნდა გაითქვიფოს იმ საერთო „მე“-ში. პიროვნება შენი სრულებით შეზღუდული, შებოკილი არ არის. განა რითიმე შეიზღუდა შენი თავისუფლება?..“

პმოქმედობ, როგორც გესიამოვნება, ერთობი და მოღვაწეობ, როგორც საჭიროდ ჰხედავ, ანგარიშს არვინა ვთხოვს. დიახ მე, როგორც საზოგადოების წევრი, როგორც ადამიანი, თავისუფალი ვიყავი, მგონა იშვიათად შეგხვდებოდა იმ გვარი ქმარი, როგორც თქვენ თქვენის ცოლისათვის იყავით. არც ერთ წუთს არ მიგრძენია, რომ თქვენ ჩემთვის რაიმე აგეკრძალოთ ან არა და ჩემს საქციელზე უსიამოვნება შეგტყობოდით, წვრილმანებშიც კი.

დიახ ასე იყო, ასე ვმსჯელობდი მე და ჩემი „მე“ კი მაინც დაკარგულად მიმაჩნდა. არც ერთხელ გარეგნულად არ მიგრძენია ვგრედ წოდებული „ცოლქმრობის ბორკილი“, მაგრამ სულიერად ვგრძობდი, შებოკილი ვიყავი. თან ის აზრი მიტრიალებდა, რომ იქნებ ეს სწორედ ასეც უნდა იყოს, იქნებ ცოლქმრობაში სწორედ რომ ერთის „მე“ მეორის „მე“-ში უნდა გაითქვიფოს და ვინ ვისში — ეგ კი იმაზედაა დამოკიდებული ვინ ვისზე უფრო ძლიერია.

თქვენ ჩემზე, რა თქმა უნდა ძლიერი ხართ, და მაშასადამე რაც მე დამემართა კანონიერია და აუცილებელია, მაგრამ ჩემი „მე“ გულის სიღრმეში ჩამწყვდეული მაინც პროტესტს აცხადებდა. ეს პროტესტი მით უფრო მწვავე იყო, რომ ვგრძობდი, ჩემი დამონება ჩემის ნებაყოფლობით ხდებოდა. ვგონებ ამ გვარი დამონება უფრო მძიმე და აუტანელია, ვიდრე ძალმომრეობით გამოწვეული.

ჩემმა სულიერმა ტანჯვამ ჩემს სხეულზედაც იმოქმედა. ავად გავხდი, ნერვები ამეშალა, გახსოვთ რა რიგ შეშინდით, როგორ დამტრიალებდით თავს: ექიმები, გასართობები, ლოლიაობა, მოგზაურობა... ერთი სიტყვით არა დაგიზოგავთრა...

მაგრამ რა წამალი უშველიდა ჩემს სატკივარს?

თან და თან ხასიათიც შემეცვალა, ხშირად ჟინიანობა დავიწყე, უმიზეზოდ, ხშირად უსამართლოდ გაჯავრდით, ზოგჯერ მოთმინებიდან მინდოდა გამომეყვანეთ. რამდენჯერ მინატურია, ნეტავი შემტუქსოს, დამამციროს, შემლახოს მეთქი... ან არა და განგებ ვიჭვენეულობდი, განგებ ვკეკლუცობდი. მინდოდა ეჭვი დამებადნა თქვენში, მინდოდა რომ ჩვენში რაიმე უსიამოვნება მომხდარიყო... მაშინ, მაშინ უფლებე მაინც მომეცემოდა გამომეთქვა ის, რაც მძიმე ლოდივით გულზე მაწვებოდა... ამაო იყო ჩემი ცდა, პასუხად მარტო მო-

პრუსიის პარლამენტი



კრებიდან პოლიციის დახმარებით გაყვანილი დეპუტატი პარხარდი, სოციალ-დემოკრატი და მისი თანამოაზრენი პარლამენტიდან გამოყვანის მერე.

თმინებას, ზრდილობას, ალერსს და უნგარო სიყვარულს მიძღვნილით...

ახლა კი რა უნდა მეთქვა თქვენთვის: „კარგი ხარ და იმიტომ ვიტანჯები... მიყვარხარ და იმიტომ მძულხარ“...

აბა ეს ხომ სისულელე იქნებოდა, და ნამდვილად კი ეს არ იყო. ამ გარემოებამ იქამდე მიიყვანა, რომ ვგრძნობდი გონება მერყეოდა, მზად ვიყავ ისეთი რამ ჩამედინა, რაიც შესაძლებელია დიდ უბედურებას გამოიწვევდა. მაგრამ ჩემი „მე“-ს პოვნის და აღდგენის სურვილიც ჩემში თან და თან მეტად ძლიერდებოდა. ვცდილობდი დამეხსნა ჩემი თავი თქვენის გავლენისაგან. არა, რას ვამბობ „თქვენის“, მე ჩემი თავი ჩემგანვე მინდოდა გამენთავისუფლებინა.

დავიწყე საზოგადო მოღვაწეობა, ჩავეწერე წევრად სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებში, და მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი მათს საქმეებში... მაგრამ მალე შევიპიჩინე, რომ აქაც ყველაფერში თქვენი გავლენის კვალი შემჩნეოდა, თქვენებურად ვმსჯელობდი, თქვენებურად ვიქცეოდი, წარმოიდგინეთ ლაპარაკშიაც სიტყვა სიტყვით თქვენს ფრაზებს ვიმეორებდი... იქნობამდის მივიღა საქმე, რომ ეთხელ სარკეში ჩავიხედე და დავრწმუნდი, რომ ჩემი სახე თქვენსას დამგზავსებოდა. მგონია შორს არ იყო, კკუიდან შევშლილიყავ!..

ჩემი ტანჯვა უკიდურესობამდე მივიღა... და გადავწყვიტე ძირითადი ზომა მიმეღო:

მინდოდა რაიმე ისეთი ჩამედინა, რაიც მე თქვენს თვალში ყოველგვარს პატიოსნებას დამიკარგავდა... გახსოვთ ნ-ძე, რომელიც ერთ დროს ჩვენსა დაიარებოდა და ამასთან შხირადაც, ერთი რაღაც უფერული, ჩვეულებრივი ვინმე, რომლის მგზავსი ბევრი მოიპოვებდა ჩვენ საზოგადოებაში. კკუა მოკლე, მაგრამ მეტის მეტად ამაყი, რომელსაც თავის თავი ერთ რამედ მიაჩნია, მაგრამ ნამდვილად კი არარაობას წარმოადგენს... არ ვიცი რითი, მაგრამ მე იმის განსაკუთრებული ყურადღება დავიმსახურე... იგი ცხადად მეარშიყებოდა და არც მალავდა თავის გრძნობებს...

ეს იყო სწორედ იმ დროს, როდესაც თქვენდამი სიძულვილმა თითქმის დასძლია თქვენდამივე სიყვარული.

ყური ვათხოვე ნ-ძეს ტკბილ სიტყვებს, იგი უფრო გათამამდა და ერთ დღეს შევატყე, რომ მზად იყო გაეზიარებინა ჩემთვის თავისი გრძნობა, იღვა ჩემს წინაშე გაწითლებული, აღელვებული... დავაკერდი, თვალი თვალს გაუყარე და იცით რას ვეძებდი მის სახეში, მის თვალებში?... ისევ თქვენ, ისევ თქვენს თვალებს... მაგრამ ვერ ვპოვი მასში ვერაფერი თქვენი... და სწორედ ამ დროს ვიგრძენ, რომ ჩემი ტანჯვა რომ უფროც გაზვიადდეს, მე მაინც თქვენ ვერ გიღალატებთ... ნ-ძეს მალე ვაგრძნობინე, რომ მისი ცდა ამაოა და აკი იგიც მალე სრულებით მომშორდა, და ჩვენი ოჯახი მიატოვა...

ამ დამარცხებამ თუ გამარჯვებამ, არ ვიცი რა უწოდო მას, დამარწმუნა, რომ ჩემი ცდაც ამაოა... მოსვენება დამეკარგა. თქვენ თითქოს არაფერს ამჩნევდით და ან კი რას შეამჩნევდით, მე ვიყავ ისევ ის შეყვარებული, მოტრფიალი, მოალერსე ცოლი... მიყვარდით, როგორადაც კი შეუძლიან ზნეობით წმინდა ქალს უყვარდეს თავისი ქმარი...

ბედმა შვილი არ მარგუნა. დედობრივი გრძნობა არ განმიცდია. იქნებ ეს რომ ყოფილიყო, ჩვენი ცხოვრება სულ სხვა

გზით წასულიყო. იქნებ შვილის აღზრდაში მეპოვნა ჩემი „მე“, მაგრამ, ესეც კი შესაძლებელია, რომ პირიქით ეს ჩემი „მე“ სრულიად დამეკარგა.

მდგომარეობა მწვავედებოდა, ჩემს წინაშე იღვა კითხვა, ან ჩემი „მე“ სრულებით უარყო, გავთქვიფო თქვენში, ან არა და... სწორედ ისე მოვიქცე, როგორც ახლა მოვიქცე... უკანასკნელი ვარჩიე... ვარჩიე იმიტომ რომ... „მე“ „მე“-დ უნდა დარჩეს ყოველთვის... ამ „მე“-ში არის რაღაცა, რაიც სიყვარულზედაც, მოვალეობაზედაც, გრძნობაზედაც, ხორციელობაზედაც მაღალი და ძლიერია...

არ ვიცი დაგარწმუნეთ თუ არა, სხვა ფრივ არ შემეძლო მოვქცეულიყავ.

მშვიდობით... მშვიდობით... მაპატიეთ... კარგი ხართ და იმიტომ გტოვებთ... უცნაურია, არა?...“

* * *

ძვირფასო მარო!

„გმაღლობთ პასუხისათვის. ჩვენი განშორება, უფრო კი თქვენი წასვლა ისეთი უეცარი, მოულოდნელი და უცნაური იყო ჩემთვის, რომ დიდხანს გონს ვერ მოვედი. ვეძებდი მიზეზს. თქვენ მიერ მაგიდაზე დარჩენილმა პატარა ბარათმა: „მივიღვარ, გშორდებით სამუდამოდ, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია...“ სწორედ გითხრათ დავთრები ამირია.


რა მოხდა, რა არის?... რა დავაშავე?...“

აი, კითხვები, რომელიც თავში მიტრიალებდა... გამოგიტყუებით, პირველ წუთში საშინელმა აზრმა გაიბრინა „ან ავად არის... ან და... სხვა ირჩია... მაგრამ უკანასკნელი აზრი მაშინვე უკუ ვაგდე... დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ კი ეს ასე მოხდებოდა, თქვენ ამას პირდაპირ მეტყოდით. მაშ დარჩა პირველი, და ვერ წარმოიდგენთ რა საშინელმა მწუხარებამ ამიტაცა. გამოვარდი გარედ, მთელი დღე გაფაციცებით გეძებდით და როგორც იყო თქვენს ახალს ბინას მოვაგენი. თქვენ არ მიმიღეთ, მაგრამ ის მაინც ვავიგე, რომ ჯანმრთელადა ბრძანდებოდით. ვეცადე კიდევ რამდენჯერმე მენახეთ, მაგრამ თქვენ მაინც არ მოისურვეთ ესა. იძულებული ვაგზნი წერილით მომემართნა... გთხოვდით მხოლოდ მიზეზის ახსნას, გთხოვდით დაგესახლებინათ ჩემი დანაშაული, რომელმაც იძულებულ გყოთ ასე უღმობელად მომქცოდით... პასუხი მივიღე, მიზეზი ვავიგე...“

თავი დავანებოთ ლოლიკას, რომლისაც თქვენ აგრე გეშინიანთ, თავი დავანებოთ დასაბუთებას... საქმე ის არის, რომ თქვენ იგრძნეთ ის, რამაც გაიძულათ გამშორებოდით... თქვენ, როგორცა ბრძანებთ იგრძენით თქვენი „მე“-ს დაჩაგვრა, თითქმის დაკარგვა, დამონება... დიახ, დაგეთანხმებით, ეს „მე“ დიდი რამ არის, ადამიანი უამ „მე“-ოდ ადამიანი არ არის... ადამიანი შედარებით ადვილად შეურიგდება ხორციელს, ქონებრივს, უფლებრივს, გონებრივს დამოკიდებულებას თუ კი მისი „მე“-ეს რაღაც თავისებური თვით ღირებულება, მართალია მთელს მის პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ ამასთანავე თავისუფალი, გარეშე მდგომი, ეს „მე“ ხელუხლებელია, დამოუკიდებელი რჩება. მაშასადამე თუ კი თქვენ იგრძენით მისი შელახვა-დამონება, რასაკვირველია სწორედ ისე უნდა მოქცეულიყავით, როგორც მოიქცით...“

ეს ასეა, მაგრამ კითხვა ამაში არ არის, არამედ იმაში, რამ გაგრძნობინათ თქვენი „მე“-ს დაკარგვა, დაჩაგვრა?

გულ დასმით გადავიკითხე თქვენი წერილი, თითქმის ყოველი სტრიქონი რამდენჯერმე განვიმეორე, ვცდილობდი ამომეკითხა არა მარტო ის რაც სტრიქონებში იყო, არამედ



ს.-პეტერბურგში 6 მაისს ნაკურთხი ინსტიტუტი ალკოგოლიზმის შესასწავლი.

ისიც, რაც სტრიქონების შუა გამოიჭვრიტებოდა, მაგრამ... ამის პასუხი ვერ ვპოვე. მიჭხედებით, რომ ჩემთვის ამ კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იგი ჩემთვის ყოფნა-არყოფნის კითხვაა. მართალია თქვენ აღიარებთ რომ, მე დამნაშავე არა ვარ, მაგრამ ამასთანავე დამნაშავეს არ ასახელებთ და მეც ეჭვი შებადება...

თქვენ აზვიადებთ ჩემს სიძლიერეს. თუ კი ასეთი ძლიერი ვყოფილიყავ, რა თქმა უნდა დავძლედი, თქვენ „მე“-საც. პირიქით მე მგონია თქვენ უფრო მეტს სიძლიერეს იჩენთ, როდესაც მიუხედავად, თქვენი სიყვარულისა, გრძობისა, კმაყოფილებისა, აგრე მტკიცედ იცავთ თქვენს „მე“-ს... ცოლ-ქმრობაში რასაკვირველია თითქმის ყოველთვის ერთ-ერთი მხარე სჭარბობს, გონებრივის, ქონებრივის, ხასიათის სიმტკიცის თუ სულიერის მხრით. ადვილად ლად შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი მხარე სრულებით და შჩრდილავეს, გასთქვიფავს მეორეს, შეჭქმნის ერთს საერთო არსებას, რომელსაც თავის ელფერს მისცემს და მიუხედავად ამისა ამ გვარი ცოლ-ქმრობა ორივე მხარეს ბედნიერებად მიაჩნიათ. მაგრამ აი შეხვდნენ სრულიად თანასწორი პიროვნებანი, ერთნაირად ძლიერნი ყოველის მხრივ. აქ როგორ უნდა მოეწყოს საქმე? ვინ ვის დასძლევს? ვისი „მე“ გაითქვიფება?.. ქალისა თუ კაცისა?

მე ვამბობ, დამონებულ იქნება ქალი. დიახ, თუ კი რომ შეერთდნენ ერთნაირად სულით ძლიერნი ქალი და კაცი, ყოველის მხრივ თანასწორნი, ერთდა იმავე იარაღით შეიარაღებულნი, უსათუოდ დამონებულ იქნება ქალი. ვამბობ ამას არა იმიტომ რომ მე თვითონ კაცი ვარ, არამედ იმიტომ რომ აქ თავს იჩენს ერთი რამ, როდესაც თანასწორობა შეუძლებელია. ეს არის ბუნება ქალისა და კაცისა. ბუნება, რომელმაც სწორედ იმ საქმეში, (რომელიც გვირგვინია ცოლ-ქმრობისა), აქტივობა კაცს არგუნა და ვგონებ, რომ ქალთა საკითხის გადაწყვეტის სიძნელე სწორედ აქა მარხია... შეგიძლიანთ გაათანასწოროთ ქალი კაცთან ყოველის მხრივ, მიანიჭოთ ქალს მოქალაქობრივი, ზნეობრივი უფლებანი, რომელნიც ახლა კაცის მონოპოლიას შეადგენს, შეგიძლიანთ აღზარდოთ ქალი ისე, როგორაც იზრდებიან კაცები, უფრო მეტს ვიტყვი: შეგიძლიანთ ჭარდაქმნათ ქალის ფსიხიკა და ამ მხრივაც იგი სავსებით გაუთანასწოროთ კაცს. მაგრამ იმას კი, იმ აქტივობას, რომელიც მიანიჭა ბუნებამ კაცს ვერ მოსპობთ, რადგანაც იგი დამყარებულია ქალისა და კაცის აგებულობაზე. აგებულობის გარდაქმნა კი შეუძლებელია. და თუ ესეც როდისმე მოხდა, მაშინ ცოლ-ქმრობა და თვით მცნებანი: „ქალი“ და „კაცი“ მოისპობა.

მანამ კი ქალი-ქალია და კაცი-კაცია, ეს უთანასწორობა-ბუნებრივი, ერთის მხრივ აქტივობა და მეორის მხრივ პასივობა—ყოველთვის დარჩება. მჯერა და გეთანხმებით, რომ თქვენი „მე“ დამონებული იყო, ამას თქვენ გრძობდით, ამაში დარწმუნებული ხართ, მაგრამ თქვენ, ჩემის აზრით, ვერ მიაგენით იმ წყაროს, საიდანაც ეს დამონება-დაჩაგვრა გამომდინარეობდა.

რატომ მოხდა, რომ თქვენ სწორედ პირველ კაცსა-შეხებაში იგრძენით ეს დამონება, დაჩაგვრა, იგრძენით გულის ტკივილი?

იმიტომ რომ სწორედ აქ იჩინა თავი იმ ბუნებრივმა უთანასწორობებამ, რომელზედაც მოგახსენეთ. თქვენმა თავისუფალმა, ამაყმა და ძლიერმა სულმა აღლოთ იგრძნო ეს უთანასწორობა, იგი ვერ შეუურიგდა პასივობას, მხოლოდ ამასთანავე შეცდომით მიაწერა ეს ჩემს პიროვნებას, ვითომდა ჩემმა უფრო ძლიერმა „მე“-მ გათქვიფა, დაამონავა თქვენი „მე“. გარწმუნებთ რომ პირიქით თქვენი „მე“ აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი, უფრო ძლიერი იმიტომ, რომ იგი აღმადლდა ქალის ბუნებაზე. მე ბუნებას მივსდევდი, თქვენ, სულ ერთია შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბუნებას წინ აღუდექით. არ ვიცი დაგაკმაყოფილებთ ჩემი ახსნა თუ არა? და თუ კი იგი თქვენთვის საკმარისია და დამეთანხმებით ამაში, მაშინ თქვენ წინაშე ჩნდება კითხვა:

იმონება არა ჩემი სულიერი „მე“, არამედ მარტო ჩემი ქალური ბუნება.

მაშასადამე ჩვენი კავშირი არასფრით არ ამცირებს ჩემს „მე“-ს. ან არა და: რადგანაც ჩემი „მე“ მქიდროდ დაკავშირებულია მთელს ჩემს არსთან, ხორციელთანაც და სულიერთან-

ნაც და მაშასადამე ჩემს ქალურ ბუნებასთანაც, რომელიც ნაწილის დაჩაგვრა დამონება ამცირებს ჩემს „მე“-ს, ჩვენი კავშირი შეუძლებელია.

თუ დაეთანხმებით პირველ დებულებას მაშინ დაბრუნდით... თქვენ მოგვლით თქვენი თაყვანისმცემელი...

თუ მიიღებთ მეორე დებულებას მაშინ კი... მაშინ... ნება არა მაქვს, გთხოვოთ დაბრუნება, გინდ ეს სიცოცხლედ მილირდეს...

გაძლევთ ხელში ჩემს ბედს, ჩემს მომავალს... ჩემს სიცოცხლეს...

ახლა თქვენ იცით...

* *

ბ. გ რ ი გ ო ლ!

როდესაც პირველ წერილს გწერდით გადაწყვეტილი მქონდა, რომ იგი უკანასკნელიც იქნებოდა, მაგრამ თქვენი პასუხის მიღების შემდეგ არ შემძლიან არ გიპასუხოთ. უნდა მოგახსენოთ რომ თქვენმა წერილმა ცოტა არ იყოს მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მიკვირს რა ადვილად ურიგდებით ჩვენს განზორბებას, რა ადვილად სთმობთ ჩვენს კავშირს... წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემს „მე“-ს აგრე მალლა ვაყენებ, რომ მე შევწირე მას სიყვარული, ბედნიერება, მყუდროება და ნეტარება... მაინც იყო რამდენიმე წუთი როდესაც მზად ვიყავ თქვენსა გამოგქცეულიყავ... თქვენ კი ასე მალე და ასე ადვილად შეურიგდით ჩემს გადაწყვეტილებას. არ ვიცი გადაქარბებულ კეთილშობილურ გრძობის შედეგია ეს, თუ... თქვენი გრძობა არც ისე მტკიცე და ღრმაა როგორაც მე მეგონა.

ერთი მიბძანეთ ნუ თუ მთელი ჩემი გულის ტანჯვა და სულის კვეთება შედეგია მარტო-მარტო იმ ბუნებრივ უთანასწორობისა, რომელზედაც თქვენ მითითებთ? თუ ეს ბუნებრივი უთანასწორობა ბუნებრივი თვისებაა ქალისა და კაცის აგებულობისა, რატომ გგონიათ, რომ იგი გამოიწვევს ქალის სულში პროტესტს, რომ იგი დამამცირებლად ეჩვენება ქალს. ვგონებ რომ ამ უთანასწორობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქალის და კაცის სულიერ ურთიერთობაში თუ კი ამ მხრივ ქალი, როგორც ქალი მთლად დაკმაყოფილებულია. მე კი მოგახსენეთ, რომ ამ მხრივ მე სავსებით კმაყოფილი ვიყავი. გარწმუნებთ რომ შეყვარებული ქალი თქვენ მიერ აღნიშნულ პასივობაში პასივობას არ ჰხედავს, სწორედ იმიტომ რომ იგი ბუნებრივ მისი თვისებაა. და ამიტომაც ამ მოვლენას ჩვენი ქალების „მე“-ს დაკარგვაში არავითარი ადგილი არა აქვს.

თქვენმა წერილმა მხოლოდ იმაში დამარწმუნა, რომ არა აქ მარხია ქალთა საკითხის გადაწყვეტის სიძნელე, არამედ იმაში, რომკაცის ფსიხიკის ამ საგანში გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავად თქვენის ფართო და გონიერ მსოფლ მხედვეულობისა, თქვენ მაინც ვერ აიცილეთ თავიდან ძველი ტრადიციები, უკუღმართი შეხედულობა ქალზე, შეთხუზული და წარმოშობილი უკუღმართივე ისტორიულ პირობებით.

არა, ბატონო გრიგოლ! აქ ბუნებრივ უთანასწორობას ადგილი არა აქვს, აქ ჩემი სულიერი „მე“ იყო შეზღუდული და სწორედ თქვენი წერილის შემდეგ მე იგი ვპოვე, ვპოვე იმიტომ რომ იგი მთელის თავის მნიშვნელობით თქვენს აზრებს და წარმოდგენებს წინ აღუდგა...

დამეთანხმებით რომ რაც ჩვენ შორის მოხდა, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო...

* *

.....

მეგონა მიპასუხებდით, მაკრამ დიდმა ხანმა განვლო და პასუხი არ მივიღე... ვგონებ ჩვენს შორის მაინც დარჩა რაღაც ბუნდოვანი... კითხვა ჩემის აზრით სავსებით განმარტებული არ არის მით უმეტეს გადაწყვეტილი... თუ კი დროს იპოვით შემოიარეთ... სიტყვიერად უფრო ადვილად... მოვახერხებ ყოველისფერი ავიხსნათ... მაპატიეთ, მხოლოდ ნუ დამცინებთ, ბ. გრიგოლ... ჩემი „მე“ ახლა დაშვიდებულია... .. მომძანდით... ქალი ჯერ-ჯერობით ისევ ქალად შთება!..

ი. გ ე ლ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.